

საკვალიფიკაციომოთხოვნებიმოდულებისმიხედვით მასწავლებელთა შესარჩევად:

### კომუნიკაცია ქართულ ენაზე

მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:

- ✓ ზოგადი განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სამწლიანი გამოცდილება;
- ✓ საგნობრივიგამოცდითდადასტურებული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისკვალიფიკაცია;
- ✓ ბაკალავრი სპეციალობით „ქართული ფილოლოგია“ (მასწავლებლობის უფლებით- გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა ან პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ მაგისტრი სპეციალობით „ქართული ფილოლოგია“ (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ ფილოლოგიის დოქტორი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს).

### მათემატიკური წიგნიერება

მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:

- ✓ ზოგადი განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე მათემატიკის სწავლების სამწლიანი გამოცდილება;
- ✓ საგნობრივიგამოცდითდადასტურებულიმათემატიკისმასწავლებლისკვალიფიკაცია;
- ✓ ბაკალავრი სპეციალობით მათემატიკა(მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა/პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ მაგისტრანტი სპეციალობით „მათემატიკა“ (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);

- ✓ მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს).

## მოქალაქეობა

### მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:

- ✓ ზოგადი განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე საგნების - „ისტორია“ და „სამოქალაქო განათლება“ - სწავლების სამწლიანი გამოცდილება;
- ✓ საგნობრივიგამოცდითდადასტურებული ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლისკვალიფიკაცია (თუკი საგნობრივი გამოცდა მხოლოდ ისტორიაშია ჩაბარებული, სავალდებულოა გადამზადება სამოქალაქო განათლებაში);
- ✓ ბაკალავრი სპეციალობით „ისტორია“ (მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა/პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს) და გადამზადების კურსი სამოქალაქო განათლებაში;
- ✓ მაგისტრი სპეციალობით „ისტორია“(სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკასა და სამოქალაქო განათლებაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ ისტორიის/სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს).

## მეწარმეობა

### მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:

- ✓ ზოგადი განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე საგნის „გეოგრაფია“ სწავლების სამწლიანი გამოცდილება;
- ✓ საგნობრივიგამოცდითდადასტურებული გეოგრაფიის მასწავლებლისკვალიფიკაცია (მოთხოვნილი იქნება გადამზადება სამოქალაქო განათლებაში);

- ✓ ბაკალავრი სპეციალობით ეკონომიკური მეცნიერებები/ბიზნეს ადმინისტრირება/საზოგადოებრივი გეოგრაფია (მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა/პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი და სამოქალაქო განათლებაში გადამზადების კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა და სამოქალაქო განათლებაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ მაგისტრი სპეციალობით ეკონომიკური მეცნიერებები/ბიზნეს ადმინისტრირება/საზოგადოებრივი გეოგრაფია (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკასა და სამოქალაქო განათლებაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკასა და სამოქალაქო განათლებაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს).

## მეცნიერება

მოდული ოთხ კომპონენტს აერთიანებს (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია და გეოგრაფია). პრიორიტეტი მიენიჭება აპლიკანტს, რომელსაც ზემოჩამოთვლილთაგან ორი ან მეტი საგნის სწავლების კვალიფიკაცია აქვს.

მოდულის შესაბამისი კომპონენტის (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია და გეოგრაფია) მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:

- ✓ სკოლაში საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე ფიზიკის და/ან ქიმიის და/ან ბიოლოგიის და/ან გეოგრაფიის სწავლების სამწლიანი გამოცდილება;
- ✓ საგნობრივიგამოცდილთადასტურებული ფიზიკის და/ან ქიმიის და/ან ბიოლოგია და/ან გეოგრაფიის მასწავლებლისკვალიფიკაცია;
- ✓ ბაკალავრი სპეციალობით ფიზიკა/ქიმია/ბიოლოგია/ფიზიკური გეოგრაფია (მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა/პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ მაგისტრი სპეციალობით ფიზიკა/ქიმია/ბიოლოგია/ფიზიკური გეოგრაფია (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ✓ ფიზიკის/ქიმიის/ბიოლოგიის/გეოგრაფიის დოქტორი (სავალდებულოა პედაგოგიკაში გადამზადება), ან ექიმი/მედიცინის დოქტორი (სავალდებულოა პედაგოგიკაში გადამზადება).